

"ყარბელაანთ კილო"

საგალობლები





მუსიკა აკეთილშობილებს ადამიანის სულს და აჰყავს ზეცას. ქართველი ადამიანისათვის ძალიან ახლობელია მუსიკა, განსაკუთრებით კი გალობა. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა აღიარა წმინდანებად ძმები კარბელაშვილები და ფილიმონ კორიძე იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მათ გასწიეს სამშობლოს წინაშე იმ დროს, როდესაც დაკარგული იყო პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. მათ ქართული სული შეინარჩუნეს და გადასცეს ქართველ ხალხს. ძმებმა კარბელაშვილებმა დიდი საქმე გააკეთეს და ჩვენ ძალზედ ვაფასებთ ამ ღვაწლს. ბედნიერი ვარ, რომ ახალი თაობა ყურადღებით ეპყრობა ამ დანატოვარს და ცდილობს აღადგინოს და შეისწავლოს ეს საგალობლები. წმინდა ძმებმა დალოცონ ამ კეთილი საქმის ყველა მონაწილე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II

თავისუფლებისა და სიწმინდისათვის მებრძოლი, უდრეკი სული – ეს არის ჩემი საქართველო. დიდი პატივია იყო ამ ქვეყნის შვილი და იმ ადამიანების შთამომავალი, რომელთა ღვაწლი საქართველოს ეკლესიამ გამოარჩია და წმინდანებად შერაცხა. ამავდროულად ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა. ჩემი წინაპრების – ძმები ყარბელაშვილების მემკვიდრეობა წლების მანძილზე მიუწვდომელი, გაკეთებული საქმეები – უცნობი, ღვაწლი კი – შეუფასებელი გახლდათ. ჩემს პირად ვალდებულებად ვთვლი ვუპატრონო მათ მემკვიდრეობას. დავუბრუნო მკვლევარებს, რომლებსაც ყარბელაშვილების პირადი ფონდებიდან საქართველოს უახლესი ისტორიისთვის საინტერესო მასალები დღის სინათლეზე გამოაქვთ. ქართულ ტაძრებში კი კვლავ გალობენ ყარბელაანთ კილოს საგალობლებს. ეს ალბომიც ამ მიზნით ჩაიწერა.

გიორგი ყარბელაშვილი

კომუნისტური ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების სავალალო შედეგი საეკლესიო გალობაზეც აისახა. ძალადობით დაიხურა ეკლესია-მონასტრები, დაიშალა გუნდები, განადგურდა საგალობლო კერები. რეპრესიების მსხვერპლი გახდა უამრავი მოღვაწე-მგალობელი. აუნაზღაურებელია ის დანაკარგი, რაც ამ საშინელმა პერიოდმა მიაყენა საეკლესიო ხელოვნების ამ დარგს. მაგრამ საბედნიეროდ ღირსეული მამულიშვილების თავგანწირვის ფასად ჩვენამდე მოაღწია ათასობით უძველესმა საგალობელმა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან ანჩისხატის ტაძრის გუნდის თაოსნობით დაიწყო ქართული ტრადიციული კანონიკური გალობის სადვთისმსახურო პრაქტიკაში დაბრუნების რთული და საპასუხისმგებლო პროცესი.

სირთულეების მიუხედავად იზრდება საგალობლო გუნდების რაოდენობა. უკვე არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი იკვლევს საქართველოს ეკლესიის მუსიკალურ მემკვიდრეობას. ძმები კარბელაშვილების ნაშრომები უმნიშვნელოვანესი წყაროა მეცნიერებისა და მგალობლებისათვის.

წელს პირველად აღინიშნება ძმები კარბელაშვილების ხსენება წმინდათა რანგში და სწორედ ამ ისტორიული დღისათვის მომზადდა წინამდებარე საგალობლების კრებული. სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მგალობელთა გუნდების მიერ შესრულდა ძმები კარბელაშვილების გადაწერილი საგალობლები. ამ მცირე ნაშრომით გვინდა პატივი მივაგოთ მათ უკვდავ სულებს და შევთხოვოთ შეწევნა ქართული გალობის აღორძინების მეტად საპატიო საქმეში.



ეპისკოპოს სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერი



სხედან მარცხნიდან: ვასილ კარბელაშვილი. პოლიევქტოს
კარბელაშვილი. გრიგოლ მღებრიშვილი და ალექსანდრე
მოლოდინაშვილი. დგას პეტრე კარბელაშვილი.
ფოტო – ვენტის ფილიპოვიჩი 1882 წ. თბილისი
დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

# ძმები ყარშელაშვილების მოკლე ისტორია

ძმებს ყარშელაშვილებს – ეპისკოპოს სტეფანეს (ვასილი 1858-1936), დეკანოზებს პოლიევქტოსა (1855-1936) და ანდრიას (1851-1924), მღვდლებს ფილიმონსა (1836-1879) და პეტრეს (1860-1924) უდიდესი დამსახურება მიუძღვით სამშობლოსა და ღვთაეკლესიის წინაშე. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ წმინდა ილია მართლის წინამძღოლობით მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ყარშელაშვილები იყვნენ სულიერი შვილები წმინდა ეპისკოპოს ალექსანდრესი (ოქროპირიძე) და ერთგული თანამებრძოლები წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსისა (ქიქოძე), წმინდა კათოლიკოს-პატრიარქების კირიონისა (საძაგლიშვილი) და ამბროსისა (ხელაია).

იმ დროს, როდესაც იდევნებოდა და იკარგებოდა ყოველივე ქართული, ძმები ვასილი (სტეფანე ბოდბელი) და პოლიევქტოს ყარშელაშვილები იძიებდნენ და აქვეყნებდნენ მასალას საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიაზე, წმინდანებისა და მეფეების მოღვაწეობაზე. მათი თავგანწირული და დაუღალავი შრომის შედეგად გადარჩა სულიერი და მატერიალური კულტურის ათეულობით მნიშვნელოვანი ნიმუში – უძველესი ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები (დავით-გარეჯის, წმინდა იოანე ნათლისმცემლისა და შიომღვიმის მონასტრების ბიბლიოთეკები), სიწმინდეები, ხატები. ძმებმა გადაარჩინეს და აღადგინეს ათეული მიტოვებული და დაქცეული ეკლესია-მონასტერი. დიდია მათი დამსახურება ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის გადარჩენაში – მათ შეკრიბეს, გადაწერეს და საკუთარი ხარჯით გამოსცეს მრავალი (100-ზე მეტი) ნიმუში ძველი ქართული მწერლობისა, რომელთა ხელნაწერების ნაწილიც დღეისათვის აღარაა შემორჩენილი.

ბოლშევიკური ხელისუფლების დროს არც ერთმა მათგანმა არ დაუტევა სამღვდელო მოღვაწეობა. მიუხედავად დევნისა და რეპრესიებისა ისინი აგრძელებდნენ ღვთისმსახურებას და სულიერად განამტკიცებდნენ მრევლს. გარდა საგაზეთო პუბლიკაციებისა, მათ მიერ დაისტამბა ათეულობით მნიშვნელოვანი გამოცემა, რომელთა შორის აღსანიშნავია ქართული საეკლესიო გალობის სამი ტომი. ასევე გამოიცა მონოგრაფიები საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსებსა და მღვდელმთავრებზე, ქართულ საერო და სასულიერო პირების ისტორიული მიმოხილვა.

დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე კარბელაშვილები 1924 წლის 6 სექტემბერს მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ იყვნენ ღვთისმსახურები და არ უღალატეს ქრისტეს სარწმუნოებას. აღსანიშნავია, რომ მამა ანდრია არ დაუპატიმრებიათ. მან არ მიატოვა სულიერი შვილები და თავისი ნებით შეუერთდა დასახვრეტად გაყვანილ ადამიანთა ჯგუფს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მოწამეთა ნატანჯი სხეულები ერთობლივ საფლავში დაკრძალა. 1924 წლის აგვისტოს რეპრესიებს სასწაულებრივად გადაურჩნენ დეკანოზები, პოლიევქტოსი და ვასილი. მიუხედავად განსაცდელებისა, აგრძელებენ საღვთო მსახურებას. სასულიერო წოდების გამო ძმები ვერ ახერხებდნენ თავიანთი ნაშრომების გამოცემას. არქივში შემორჩენილია ეპისკოპოს სტეფანეს არაერთი უშედეგო თხოვნა მის მიერ შეკრებილი და ნოტებზე გადაღებული საგალობლების დასტამბვაზე. მწარე სიბერე არგუნა ხვედრად განგებამ ძმებ კარბელაშვილებს.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტიათ ღვთის დიდება და სამშობლოს მომავლისათვის ზრუნვა. 1936 წლის აპრილში ჯერ ეპისკოპოსი სტეფანე გარდაიცვალა, ხოლო იმავე წლის მიწურულს პოლიევქტოსმაც მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს. ძმები კარბელაშვილების დევნა

მათი გარდაცვალების შემდეგომაც არ დასრულებულა. 1937 წლის რეპრესიების დროს სასტიკად გაუსწორდნენ მათ შვილებს. უსამართლოდ დახვრიტეს დავით პოლიევქტოსის ძე კარბელაშვილი, იგივე ბედი ეწიათ ელიზბარ და შალვა ვასილის ძე კარბელაშვილებსაც.

აღსანიშნავია კარბელაშვილების ღვაწლი ახალგაზრდა თაობების აღზრდაში. ქადაგებით, პედაგოგიური მოღვაწეობითა და პირადი მაგალითით ისინი იყვნენ ჭეშმარიტი მასწავლებლები და მოძღვრები თავიანთი სამწყსოსი.



ეპისკოპოს სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერი
საგალობელი – „შენ ხარ ვენახი"

# საგალობლების ანსამბლები:

## 1. საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლი "ბასიანი" ( 1. 2 )

ხელმძღვანელი გიორგი დონაძე
მოთა აბულაძე, ირაკლი ცუკაცირია, ვაჟა ცეცხლაძე, გიორგი ზუნაშვილი

## 2. მგალობელ მოძღვართა გუნდი "დიდგორი" ( 3. 4 )

ხელმძღვანელი ნიკოლოზ ივანაშვილი
გიგი აბესაძე, გიგი ბაქრაძე, ნოდარ ცურძელაძე, გიორგი ქარცივაძე, არჩილ გურგენიძე, გიორგი ყიფიანი

## 3. მგალობელ-მოძღვართა ანსამბლი "სათანაო" ( 5. 6 )

ხელმძღვანელი ცაციანა მეგრელიძე
ნინო ნანეიშვილი, ნინო გიორგობიანი, ნანა მჟავანაძე, ლელა ყურუაძე, თამარ თოლორდავა, ქეთევან მათიაშვილი

## 4. ქაშუეთის ტაძრის მგალობელთა გუნდი "აღსავალი" ( 7. 8 )

ხელმძღვანელი ზურაბ გოგოლაძე
ზაზა ფანჩვიძე, გოჩა ბიძინაშვილი, გიგა ჯალაღონია, გიორგი მოლოდინი, საბა ჩემულარია, ბექა ჩემულარია, გუჯა ნარიმანაშვილი, ჯონ გრემი

## 5. ბათუმის ფერისცვალების ტაძრის მგალობელთა გუნდი ( 9. 10 )

ხელმძღვანელი ედუარდ გორგილაძე
თადეოზ ბოლქვაძე, მიხეილ გაბაიძე, ზურაბ ვერძაძე, თორნიკე გათენაძე, დავით ჯაყელი, მამუკა ჩუფრაძე

6. ანჩისხატის ტაძრის გუნდი ( 11, 12 )

დათო შუღლიაშვილი, ვასილ ცეცხლაძე, დავით ზათიაშვილი, ზაალ წერეთელი, გრიგოლ ბულია, მამუკა კიკნაძე, გოჩა ბალავაძე

7. მამა დავითის სახელობის ტაძრის ვაჟთა გუნდი ( 13, 14 )

ხელმძღვანელი მალხაზ ერქვანიძე

ლექსო გრემელაშვილი, ბექა ბიძინაშვილი, დავით აბრამიშვილი, თორნიკე კანდელაკი, სოსო კოპალეიშვილი, ვახტანგ ცეცხლაძე, მამუკა კიკვაძე, გიორგი ჩიქოვანი, ბექა კემულარია

8. ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი ( 15, 16 )

ხელმძღვანელები სვიმონ ჯანგულაშვილი და გიორგი დონაძე

9. მგალობელ გოგონათა გუნდი "ილორი" ( 17, 18 )

ხელმძღვანელი ნინო ნანეიშვილი

ნატალია ივანიშვილი, ნანა გოგოლაძე, ნათია დათუაშვილი, რუსუდან პაცურაშვილი, მზია დავლაშერიძე

10. ედიშერ გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული სტუდია "ამერ-იმერი" ( 19 )

ხელმძღვანელი გიგი გარაყანიძე, ტატიანა მეგრელიძე

ლევან ჯინჭარაძე, თათია მარაული, სალომე სუხიტაშვილი, ნიკოლოზ მარუხია, ანანო კობახიძე, ავთო კოპალიანი, სანდრო მარაშენიძე

11. ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "კირიალესა" ( 20 )

ხელმძღვანელი ლელა ყრუშაძე

სალომე ნიქორიძე, ლევან ცოგონიძე, ლიზი მეძველია, აჩილ ჩაკვეტაძე, თიკა მაღლაკელიძე, ანა ნიკოლაური, ნინო გოგიბერიძე, კვირიკე ნიკოლაური, მარიამ ნიქორიძე, ანა ნიქორიძე

# საგალობლები:

1. "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა" – საცისკრო საგალობელი
2. "უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ" – საცისკრო საგალობელი
3. "ღვთისმშობელო ქალწულო" – ღვთისმშობლის საგალობელი
4. "წმიდა არს, წმინდა არს" – წირვის საგალობელი
5. "ნეტარ არს კაცი" – მწუხრის საგალობელი
6. "უფალო ღაღად ვყავ" – მწუხრის საგალობელი
7. "აღდგომასა შენსა" – აღდგომის საგალობელი
8. "წმინდაო ღმერთო" – წირვის საგალობელი
9. "უმეტესად კურთხეულ ხარ შენ" – მწუხრის საგალობელი
10. "რაოდენთა ქრისტეს მიერ" – წირვის საგალობელი
11. "აწ განუტევე" – მწუხრის საგალობელი
12. "შენ გიგალობ" – წირვის საგალობელი

13. "ღირს არს და მართალ" – წირვის საგალობელი

14. ""მოვედით, თაყვანი ვცეთ" – წირვის საგალობელი

15. "ღირს არს ჭეშმარიტად" (სამღვდელმთავრო) – ღვთისმშობლის საგალობელი

16. "შვენიერმან იოსებ" – ვნების კვირის საგალობელი

17. "აღდგომა ქრისტესი" – საცისკრო საგალობელი

18. "მხოლოდშობილო" – წირვის საგალობელი

19. "ღირს არს ჭეშმარიტად" – ღვთისმშობლის საგალობელი

20. "ღვთისმშობელო ქალწულო" – ღვთისმშობლის საგალობელი



დეკანოზი გრიგოლ კარბელაშვილი.
ძმები კარბელაშვილების მამა



ეპისკოპოს სტეფანე კალჩელაშვილის სანოტო ხელნაწერი

ალბომი ჩაწერილი და დამზადებულია სტუდია "ბრავო რეკორდსში"

პროექტის კოორდინატორები: დიმიტრი ქაჯაია და ლუარსაბ ტოგონიძე

მუსიკალური პროდიუსერი: ბიბი კვაჭაძე

მთავარი ხმის რეჟისორი: მატია სარტორი

მასტერინგის რეჟისორი: ზურა ლალიაშვილი

მარკეტინგი და პრომოუშენი: სოფო ჩხაიძე

იურიდიული მხარე: მირიან კულულაშვილი

ფინანსური მხარე: გელა ბუბაშვილი

ადმინისტრატორი: დალი ფრიდონაშვილი

პროდუქციის მენეჯერი: ალექსანდრე დათებაშვილი

ალბომის დიზაინი: ნინო კვაჭაძე

ალბომის ყდის ფოტო: პოლიევქტოს. ვასილ. პეტრე და ანდრია კარბელაშვილები. ფოტო ალექსანდრე როინაშვილისა.

ბროშურის ყდის ფოტო: სხედან მარცხნიდან: ვასილ კარბელაშვილი. ალექსანდრე მოლოდინაშვილი. გრიგოლ მღებრიშვილი. პოლიევქტოს კარბელაშვილი. დგანან: ანდრია და პეტრე კარბელაშვილები. ფოტო ერმილე ფილიპოვიჩისა.

საგალობლები:

1. დიდება მაღალთა შინა ღმერთსა
2. ყოვლო, მაცნენი ჩვენი ალიხვენ
3. ღვთისმშობელო ქალწულო
4. წმიდა არს, წმიდა არს
5. ნეტარ არს კაცი
6. ყოვლო ლალალ ვყავ
7. აღდგომასა შენსა
8. წმიდაო ღმერთო
9. უმეცრებად ჰყოთხეულ ხარ შენ
10. თაოდენთა ქრისტეს მიერ
11. ან განყცევე,
12. შენ გიგალობ
13. ღირს არს და მართალ
14. მოვედით, თაყვანი ვცეთ
15. ღირს არს ჭეშმარიტად
16. შვენიერმან იოსებ
17. აღდგომა ქრისტესი
18. მხოლოდშობილო
19. ღირს არს ჭეშმარიტად
20. ღვთისმშობელო ქალწულო

BRAVO RECORDS

დისტრიბუცია: ჩაწერილი და დამზადებულია სტუდია "ბრავო რეკორდსში" 2012 წელი. ყველა უფლება დაცულია ©
საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი, 0171, კოსტავას #68. ტელეფონი: + 995 32 240 93 40.
ვებ გვერდი: www.bravorecords.ge ელ. ფოსტა: info@bravorecords.ge